

3. მონაწილე გუნდები

- 3.1 შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, 2006-2007 წელს დაბადებული ბავშვები.
- 3.2 მატჩების ხანგრძლივობაა 50 წუთი (25-25წთ.), 5 წუთი შესვენებით;
- 3.3 2006 და 2007 წელს დაბადებული ჭაბუკები ითამაშებენ 1 კარში და 8 წინ,
- 3.4 ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 ქულა, წაგება – 0 ქულა;
- 3.5 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:
 - 3.5.1 მოგებათა მეტი რაოდენობა;
 - 3.5.2 უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ – ბურთების უკეთესი სხვაობა);
 - 3.5.3 ჯგუფში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
 - 3.5.4 ჯგუფში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;
 - 3.5.5 ფეირ-პლეის შედეგები; თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწეობა კენჭისყრა.
 - 3.5.6 ფლეი-ოფის სტადიაზე, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, დაინიშნება პენალტების სერია (5-5 დარტყმა და თუ საჭირო გახდა, თითო-თითო დარტყმა პირველ გაფუჭებამდე).
- 3.6 გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს მინიმუმ 12 და მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი;
- 3.7 თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი;
- 3.8 გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს;
- 3.9 ტურნირში ნებადართულია ფეხბურთელების მუდმივი ცვლა;
- 3.10 მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

4. გუნდების განაცხადების გაფორმება

- 4.1 გუნდების განაცხადები თფფ-ში უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2017 წლის 5 დეკემბრისა.
- 4.2 თითოეული გუნდის განაცხადი დგება ერთ ეგზემპლარად და მასში უნდა იყოს მინიმუმ 12, მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი.
- 4.3 გუნდის განაცხადი დამოწმებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხემძღვანელის ბეჭდით ან ყოველი მოთამაშის ჯანმრთელობის ცნობით წარმოდგენილი.

5. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

- 5.1 ტურნირი ჩატარდება ჯერ ჯგუფურ, ხოლო ფინალურ ეტაპზე ოლიმპიური სისტემით.